გელითი

ქართველ წმინდანთა სავანე

გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის
გამოცემა №1

მერაბ კეზევაძე
ლევან ტყეშელაშვილი

გელათი
ქართველ წმინდანთა სავანე

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2018

UDC (უაკ) 94(479.22) (03)
კ.37

წიგნში მოთხრობილია საქართველოს გამორჩეულ რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში – გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერში დაკრძალულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანებზე.

წიგნი დაიბეჭდა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით.

იდეის ავტორი: გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის მღვდელ-მონაზონი იოსები (ბურჯანაძე).

რედაქტორი: **ელდარ ბუბულაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
პროფესორი

წიგნი გამოიცა გელათის ღვთისმშობლის შობის
მონასტრის მრევლის შეწევნით.

ISBN 978-9941-9549-9-3

წინათქმა

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო,
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“

იოანე შავთელი

საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა აზიისა და ევროპის შესაყარზე, სადაც პირველი საუკუნის 40-50-იან წლებში ქრისტეს მოციქულებმა იქადაგეს ქრისტიანობა. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანას არაერთი ბრძოლა და დაპირისპირება მოუხდა მსოფლიოს დიდ იმპერიებთან. საქართველომ შეძლო სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნება. სამშობლოს დაცვას და მამულისათვის თავდადებას ქრისტიანობა უდიდეს ამქვეყნიურ მსახურებად მიიჩნევდა და ამ მსახურებაში თავდადებულთ წმინდანის სახელით უკვდავყოფდა. წმინდანის შარავანდედით არაერთი ქართველია შემოსილი. გამორჩეულია 1000 წლის განმავლობაში ქვეყნის მმართველი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამსახურება, რომლის არაერ-

თი წარმომადგენელი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მათგან ხუთი მეფე გელათის მონასტერში განისვენებს, სადაც მათთან ერთად ჩვენი ეკლესიის რამდენიმე წმინდანია დაკრძალული.

გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერი მდებარეობს ქუთაისის ჩრდილო აღმოსავლეთით, ათი კილომეტრის დაშორებით სოფელ გელათში. მონასტრის დაარსება XII ს-ის დამდეგით თარიღდება და მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წ.წ.) სახელს უკავშირდება. მონასტრის მთავარი-ღმრთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობა 1106 წელს დაწყებულა და კარგა ხანს გაგრძელებულა. დავით აღმაშენებელს ტაძრის დამთავრება ვერ მოუსწრია და მისი დასრულება და კურთხევა დემეტრე I (1125-1156 წ.წ.) დროს მოხდა, დაახლოებით 1126-1130 წლებს შორის. გარდა ღმრთისმშობლის შობის ტაძრისა, გელათის სამონასტრო კომპლექსში XII-XIII სს-ში აგებული იქნა და დღემდეა მოღწეული წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, დავით აღმაშენებლის საფლავი — სამლოცველო კარიბჭე, აკადემიის შენობა, გალავანი და შედრებით გვიანდელი ხანის საცხოვრებელი სახლები. „მრავალი თაობის ხუროთმოძღვართა მიერ შექმნილ გელათის ნაგებობებს ანსამბლურობა ახასია-

თებს. ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ გელათის მთავარ ნაგებობებს დიდი ცვლილება არ განუცდიათ ჟამთა ცვლისაგან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გელათის ანსამბლი, დაცულობის მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთია“ (პ. ზაქარაია „ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს“ თბ., 1990, გვ.26).

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის არჩევა დიდი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის შემთხვევითი მოვლენა არ იყო. გელათის მხოლოდ „ყოვლად შუენიერი და ყოვლითურთ უნაკლო ბუნება“ არ იქნებოდა საკმარისი ამისათვის. სავარაუდოა, რომ მონასტრის დაარსებამდეც „გელათის ქვეყანა“ საკმაოდ დაწინაურებული მხარე იყო და მისი დაფუძნების ერთ-ერთი პირობა ესეც უნდა ყოფილიყო, რასაც, ალბათ, ნათელს მოჰფენს ამ მხარის, სადაც დადასტურებულია ადამიანთა ცხოვრების უწყვეტი ნაკვალევი პალეოლითის ხანიდან დღემდე, არქეოლოგიური შესწავლა. ამასთანავე გელათის გადაქცევა ფეოდალური საქართველოს საკულტო-რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, ბაგრატიონთა საძვალედ, „მეორედ იერუსალიმად და სხუად ათინად“ და „ახალ რომად“, სხვა მიზეზებთან ერთად, (მხარის მოწინავეობა ისტორიულ-კულტურული და სამეურნეო თვალსაზრისით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდე-

ბარეობა — უპირველესად სატახტო ქალაქ ქუთაისის სიახლოვე), განპირობებული იყო დიდი საკულტო-რელიგიური ტრადიციებით, რომლის დასტურად გამოდგება გელათის ტერიტორიაზე მიკვლეული ამ დანიშნულების ნაგებობების სიმრავლე და არქაულობა. და, რაც მთავარია, გელათის დაარსება შესაძლებელი გახდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით, რომელიც ასევე დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. „გელათი მიეკუთვნება საქართველოს იმ მცირე ანსამბლთა რიცხვს, რომელმაც არა მარტო სრულად შემოინახა თავისი ძირითადი ნაგებობანი, არამედ შთამომავლობას დაუტოვა ზუსტი ცნობები მათი დაარსებისა და მშენებლობის შესახებ“ (რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე „გელათი“ თბ., 1982, გვ.7).

მეფე დავით აღმაშენებელმა მისსავე დაარსებულ გელათის მონასტერს, იმდროინდელი მსოფლიო დონის სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, „მეორედ იერუსალიმად“ და „სხუათა ათინად“ წოდებულს, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მიანიჭა - გელათი საქართველოს მეფეთა საძვალედ გახადა. თავის ანდერძში ის წერს: „ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შჳლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთცა ტკივილი სამარადისო. აწ შვილმან ჩემმან, მეფემან დიმიტ-

რიმ, სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ სალოცავად ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათვის“.

საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და წყაროების შესწავლა ადასტურებს, რომ გელათის მონასტერში (ამ ტერმინში ვგულისხმობთ ღმრთისმშობლის შობის ტაძარს თავისი მინაშენებით, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებს და მონასტრის ეზოს) დაკრძალვის პატივით სარგებლობდნენ გაერთიანებული საქართველოს (დავით აღმაშენებლით დაწყებული) და იმერეთის მეფეები (მათი ოჯახის წევრებიც), გელათის მოძღვართ-მოძღვრები, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსები, გელათის ეპისკოპოსები, გელათის მონასტრის წინამძღვრები და კრებულის წევრები; თუმცა ზოგჯერ გამონაკლისიც ხდებოდა: აქ დაუსაფლავებიათ სხვა ეპარქიათა და მონასტერთა მმართველებიც და წინამძღვრებიც.

სამწუხაროდ, ვიზუალურად გელათის მონასტერში საფლავთა მცირე რაოდენობა დასტურდება. მონასტრის არქეოლოგიურად შეუსწავლელობის გამო, აქ დაკრძალულთა დადგენა ძირითადად ისტორიულ საბუთებს ეყრდნობა, თუმცა სრული ნუსხის შედგენა მაინც შეუძლებელია. საფლავების დაკარგვას ჟამთა სვლასთან ერთად, ძირითადად, ტაძრებში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები იწვევდა, კერძოდ, იატაკის განახლება, ზოგჯერ კიდევ

უარესიც ხდებოდა — საფლავის ქვებს სამშენებლო მასალად იყენებდნენ, ასე მომხდარა მაგალითად, 1837 წელს, როდესაც გელათის წმ. გიორგის ეკლესიის კარნიზისათვის და იატაკისათვის უხმარიათ „დასაფლავებულთა მუნ მღვდელმთავრებთა და სხუათა გვამებთა“ საფლავის ქვები.

გელათის ნეკროპოლი ძირითადად განთავსებულია ღმრთისმშობლის შობის ტაძარზე არსებულ მინაშენებში (რომელთაგან ორი — დასავლეთის და სამხრეთის ტაძრის მშენებლობასთან ერთად ან მშენებლობის დამთავრების ახლო ხანში არიან აგებულნი) და წმ. გიორგის ეკლესიაში. ეს უკანასკნელი „საძვალედ“ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565წწ.) განუახლებია. გელათისადმი 1545 წელს ბოძებულ შეწირულობის სიგელში ის აღნიშნავს: „და აწ ვიგულეთ და ვიგულმოსდგინეთ და ხელვყავით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველად ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო და აწ ჩვენდა სამარხოდ და საძვალედ შევქმენით“. სასაფლაოდ იყო გამოყენებული მონასტრის ეზოც.

გელათი რომ გაერთიანებული საქართველოს და იმერეთის მეფეთა საძვალეს წარმოადგენდა, ამას დიდი ხნის წინ ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილიც (1696-1757წწ.) აღნიშნავდა, მისი

თქმით გელათში „დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხუანიცა და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფვლიან იმერთანი“.

პირველი, ვინც გელათის მონასტერში დაუკრძალავთ, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია (გარდაიცვალა 1118 წელს). კონკრეტულად სად არის მისი საფლავი, უცნობია. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფნასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, თავ-ადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათვის; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა (გელათს - მ.კ., ლ.ტ.) და მუნ დაემარხა“. ხოლო თვით ღვთისმშობლის შობის ტაძარში დაკრძალული პირველი პიროვნება იმერეთის მეფე სოლომონ პირველია (გარდ. 1784 წ.).

დღეისათვის გელათის მონასტერში დასტურდება ერთიანი საქართველოს 11 მეფის, იმერეთის 12 მეფის, დასავლეთ საქართველოს 3 კათოლიკოსის, გელათის 3 ეპისკოპოსის, გელათის მონასტრის 5 წინამძღვრის და სხვა 16 სასულიერო პირის დაკრძალვა (სულ 50). ზემოთ დასახელებულ პირთაგან 8 საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად, კერძოდ: წმ. მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი, წმ. კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი, ღირსი

დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი, წმ. კეთილმორწმუნე ქართველთა მეფე თამარი, წმ. კეთილმსახური მეფე სოლომონ I, წმ. მეფე სოლომონ II სამშობლოსათვის თავდადებული, მღვდელმოწამე ექვთიმე, გაენათელი მიტროპოლიტი, წმ. გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსი.

ჩვენი ვარაუდით აქვე უნდა იყვნენ დაკრძალულნი გელათში მოღვაწე, წმინდანად შერაცხული იოანე ჭიმჭიმელი, იოანე შავთელი-გელათელი და პეტრე გელათელი.

ამ მხრივ გელათის მონასტერი ერთადერთია, საქართველოში არ არსებობს სხვა მონასტერი თუ პანთეონი, სადაც ერთად ამდენი წმინდანი მეფე და მღვდელმთავარი განისვენებდეს.

სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მსგავსად, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში უძველესი დროიდან დამკვიდრდა წმინდანებისადმი პატივისცემა. ადრეულ საუკუნეებში მათი კანონიზაცია ხდებოდა არა სინოდალური განჩინებით, არამედ ადგილობრივი ეპისკოპოსისა, საეკლესიო კრებულისა და მრევლის ერთობლივი ზეპირი გადაწყვეტილებით. ასეა შესული წმინდანის სახელით შუშანიკი „წამებაი წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა“-ში (Vსაუკუნე); გიორგი მთაწმინდელი, დავით და კონსტანტინე და სხვ.; მოგვიანებით, მე-14 საუკუნიდან კონსტანტინოპოლის

საპატრიარქოში და ზოგიერთ სხვა ეკლესიებშიც კანონიზაციას ეძლევა სინოდალური განჩინების სახე და წერილობითი ხასიათისაა. საქართველოს ეკლესიაში აღნიშნული წესი არ დასტურდება, თუმცა ასობით წმინდანი მოიხსენიებოდა. ქართველ წმინდანთა ერთგვარი პირველი ნუსხა მე-19 საუკუნის დასასრულს იქმნება, ხოლო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან კანონიზაცია საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ემყარება.

კანონიზაციის უმთავრეს კრიტერიუმად სიცოცხლეში ან წმინდანის გარდაცვალების შემდეგ სასწაულთმოქმედების უნარი და უხრწნელი ნაწილების არსებობა ითვლება.

გელათის მონასტრის ნეკროპოლი საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ამჟამად მხოლოდ აქ დაკრძალულ წმინდანებზე მოგითხრობთ.

წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი

წმინდა მღვდელმთავარი
გიორგი ჭყონდიდელი

წმ. გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი— მეფე დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და თანამებრძოლი, საქართველოს სამეფო კარის ვაზირი დაახლოებით 1104-1118 წ.წ. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს პირველი მფლობელი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) აქტიური მონაწილე და მეფის პოლიტიკის გამტარებელი. ქმედით მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. მისი მცდელობითა და ხელმძღვანელობით სამეფოს შემოუერთეს სამშვილდე (1110 წ.) და რუსთავი (1115 წ.). გიორგი ჭყონდიდელი საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების ერთ-ერთი მოთავე იყო. ამ მისიით იგი, დავით აღმაშენებელთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში გაემგზავრა, 1118 წელს ოსეთში გარდაიცვალა. იგი დავით აღმაშენებელმა საქართველოში ჩამოასვენა და „პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა“. გელათის მონასტერში დაკრძალვა მისადმი განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს. მეფეს შავი შეუმოსია და ორმოცი დღე უგლოვია „ვით მამა და უმეტესცა მამისა“ თავისი აღმზრდელი.

წმინდანად კანონიზირებულია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ 2005 წლის 27 ივნისს. ხსენების დღე 12 / 25 სექტემბერი.

წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი

წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი

1089 წელს საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაციის დროს სამეფო ტახტზე ავიდა თექვსმეტი წლის დავით IV აღმაშენებელი. ამ პერიოდში, თურქ-სელჯუკთა შემოსევების გამო, ქვეყნის დიდი ნაწილი მოოხრებული ყოფილა. ახალგაზრდა მეფემ აქტიური მოქმედებებით შეძლო წარმატებების მიღწევა. მან პირველ რიგში შეზღუდა დიდგვაროვან ფეოდალთა თვითნებობა, რადგან ისინი ხელს უშლიდნენ ქვეყნის განვითარებას. 1099 წელს დავითმა ხარკი შეუწყვიტა სელჯუკთა სულთან მალიქ-შაჰს, 1103 წელს წმინდა მეფემ რუის-ურბნისში მოიწვია საეკლესიო კრება, რომლის მიზანიც ეკლესიიდან უღირსი სასულიერო პირების განდევნა იყო. აღნიშნული კრების შემდეგ დაუწყია დავით მეფეს გელათის მონასტრის მშენებლობა. გელათის გულანის მიხედვით ტაძრის მშენებლობა დავით აღმაშენებელს 1106 წელს დაუწყია და დასრულებულა მისი მემკვიდრე დემეტრე პირველის დროს, 1130 წელს. დავითისვე სურვილით გელათი მეფეთა საძვალედ უნდა გადაქცეულიყო, რაც აღსრულდა კიდეც, რადგან გელათში ერთიანი საქართველოსა და იმერეთის 23 მეფე-დედოფალია დაკრძალული. აღსანიშნავია, რომ იშვიათი სიწმინდეები დავით მეფემ

დავით აღმაშენებლის ფრესკა
გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში. XVI ს.

ჯერ კიდევ დაუსრულებელ ტაძარში დააბრძანა და შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზრუნავდა სამეფო ტაძრის შესამკობად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით გელათი შეიქმნა სულიერებისა და მეცნიერების დიდი ცენტრი, სულიერების თვალსაზრისით, როგორც „მეორე იერუსალიმი“ და „სხვა ათინა“. აქ მოიწვია დავით მეფემ საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე გამორჩეული სწავლული მამები, რომელთაც აკადემიაში უნდა დაეწყოთ მოღვაწეობა. გელათის აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, რადგან იქ განათლება მიიღო არაერთმა ქართველმა. გელათში შეიქმნა და ითარგმნა უიშვიათესი სამეცნიერო და სასულიერო ჟანრის ლიტერატურა, რომლის ნაწილმაც დღემდე მოაღწია. გელათის პირველი მოძღვართმოძღვარი იყო იოანე პეტრიწი. აღსანიშნავია, რომ მოძღვართმოძღვრები განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ დარბაზობისა და მეფესთან შეხვედრის დროს მათ მეფე კათალიკოსის მსგავსი პატივით ხვდებოდა.

გელათის მთავარ ტაძარში ჩრდილოეთის კედლის ქვედა რეგისტრში არსებობს მონასტრის დამაარსებლის დავით აღმაშენებლის ფრესკა, რომელიც ერთადერთია საქართველოში. მეფეს ხელში უჭირავს აღმოსავლეთისკენ, საკურთხევლისკენ

დავით აღმაშენებლის საფლავი
გელათის მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში

მიმართული გუმბათიანი ეკლესიის მოდელი, მეორე ხელში გრაგნილი. ზედა მარჯვენა კუთხიდან, ცის სეგმენტიდან მეფისკენ დაშვებულია ღვთის მაკურთხეველი მარჯვენა. ფრესკას თან ახლავს შარავანდედის ორივე მხარეს ორსვეტიანი წარწერა, რომელზეც იკითხება: „დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი საუკუნოდმცა არს ხსენება მისი, ამინ. დავით“. როგორც მიიჩნევენ, ფრესკა XII საუკუნეში უნდა დაეხატათ თავდაპირველად და XVI საუკუნეში მოხდა მისი ხელახლა მოხატვა. დავით მეფე უმეტესად იხატებოდა მოციქულთასწორ მეფე კონსტანტინესა და დედოფალ ელენეს გვერდით, გელათშიც დავით მეფე დასახელებულ მეფეთა გვერდით არის გამოსახული. 1125 წლის შიო-მღვიმის მონასტრისადმი გაცემულ სიგელში დავით მეფე ბრძანებს: „ძემან ჩემმან დემეტრე ძელი ცხოვრებისაი და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს“. დავითის მიერ შეწირულმა აღნიშნულმა სანაწილემ 1820 წლამდე მოაღწია, შემდეგ კი სიწმინდეები ახალ სანაწილეში გადაიტანეს.

დავით აღმაშენებელმა შეძლო საქართველო გაეწმინდა თურქ-სელჯუკთა ურდოებისაგან, მანვე გაათავისუფლა თბილისი, რომელსაც ოთხასი წლის მანძილზე არაბები აკონტროლებდნენ. 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე

დაამარცხა უზარმაზარი კოალიციური არმია, რომელსაც ჯვაროსნებთან სახელმოხვეჭილი სარდალი, ბაღდადის გამგებელი ილ-ღაზი მეთაურობდა. დიდგორის ველზე გაცხადდა სასწაული, როდესაც წმინდა გიორგი ხილულად იბრძოდა ქართველთა რიგებში და რის გამოც მემატიანემ აღნიშნულ ბრძოლას „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. რისი დასტურიცაა მის მიერ დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული არაბთა მეფის დურბეისისათვის წართმეული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკის გელათისთვის შეწირვა — „ღვთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა“. ამის გარდა მეფეს გელათისთვის შეუწირავს დიდგორის ბრძოლაში დამარცხებულ „მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი“.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ ნათლად წარმოჩინდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, დავით აღმაშენებელმა, ბრძოლის შემდეგ, სრულიად გაათავისუფლა თავის სამეფო დამპყრობლებისაგან, სულ მალე კი მან სომეხთა დედაქალაქის ანისის გათავისუფლებაც შეძლო. დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტიური უმაღლესი ტიტულატურა და იგი იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს), ქართველთა (ქართლის და მესხეთის), ჰერთა, კახთა და სომეხთა (ლორე-ტაშირის), შაჰანშა (ანისის მეფე), შარვან-შა (შარვანის მფლობელი).

დავით აღმაშენებელი ვერ მოესწრო გელათის მთავარი ტაძრის დასრულებას, აღნიშნავს კიდეც მეფე თავის ანდერძში, რომ „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისაც ტკივილი სამარადისო“. მეფეს „სამარადისო“ ტკივილი მიჰყვება, რადგან იგი ვერ მოესწრო ტაძრის დასრულებას, იგი თავის შვილს დიმიტრის უბარებს, რომ დაასრულოს მონასტერი, რომელიც უნდა გამხდარიყო დავითისთვის, მისი მემკვიდრეებისათვის და მომავალი თაობებისათვის საუკუნო განსასვენებელი. მეფე ასევე არსენ ბერსა და კათალიკოს იოანეს უბარებს მონასტრისთვის მამულები გამოერჩიათ და დიმიტრი მეფეს სიგელით დაემტკიცებია ყოველივე. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს შობიდან 52 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს მის მიერვე დაარსებულ მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში. მეფის საფლავის ქვას ფსალმუნის შემდეგი სიტყვები დღემდე ამშვენებს: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს, აქ, დავემკვიდრო მე“. მოგვიანებით, დავით აღმაშენებლის წმინდანად შერაცხვის შემდეგ, მეფის წმინდა ნაწილები საკურთხეველში გადაასვენეს.

წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა 26 / 8 თებერვალი.

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი (დემეტრე I) საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის შვილი იყო, რომელსაც 1125-1156 წლებში ეკავა სამეფო ტახტი. მემკვიდრეობით მან ძლიერი სახელმწიფო ჩაიბარა, რომლის მართვა-გამგეობაში მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა ისე, როგორც დიდგორისა (1121 წ.) და შირვანის (1120, 1124 წ.წ.) ბრძოლებში ქართველთა ლაშქრის გამარჯვებაში. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ, გარეშე მტრებთან ზოგჯერ დამთმობმა, სულ მალე მოახერხა ლაშქრის რეორგანიზაცია და ზოგიერთი ძლიერი მეტოქის დამარცხება. წარმატებული იყო 1138 წელს დემეტრე I -ის სარდლობით ქართველთა ლაშქრობა განძაზე (ახლანდელი ქ. განჯა, აზერბაიჯანი), რომელიც აიღეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში მოიტანეს (დაცულია გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე). გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობის დასრულება და კურთხევა (1126-1130 წლებს შორის) მის სახელს უკავშირდება. დემეტრე I-ს სამეფო ტახტს ეცილებოდა ჯერ ძმა ვახტანგი, ხოლო შემდეგ საკუთარი შვილი დავითი, რომელმაც ორჯერ სცადა მამის ტახტიდან ჩამოგდება. მეორე შეთქმულებისას 1154 (1155) წელს დავითმა თავისი

დემეტრე მეფის ფრესკა მაცხვარიშის ტაძარში.

ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით, მოახერხა მამის იძულებით ბერად აღკვეცა და სამეფო ტახტის დროებით (6 თვით) დაკავება. დავითის გარდაცვალების შემდეგ, დემეტრე I-მა ბერის სამოსი გაიხადა და ტახტი დაიბრუნა, თანაც შეამზადა პირობები თავისი უმცროსი ძის — გიორგის (მომავალში მეფე გიორგი III) — გასამეფებლად. მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების გამო, დემეტრე I-ის მეფობის დროს საქართველოს პოლიტიკური ზრდა ერთგვარად შეფერხდა.

საყურადღებოა დემეტრე I-ის პოეტური შემოქმედება. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. მის თხზულებათა პოეტური სახეები ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დაფუძნებული. დემეტრე I-ის „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი, დღესაც ცოცხალი პოეტური საგალობელია და ქართული ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. დემეტრე მეფეს შეუმკია ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რაც შესაბამისი წარწერით დასტურდება.

მეფე დემეტრე I გარდაიცვალა 1156 წელს ბელტის ციხეში და დაკრძალულია გელათის მონასტერში — „ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“.

წმ. ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრის ხსენების დღეა 23 / 5 ივნისი.

წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი

წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი

1184 წელს ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე ადის წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი, რომლის მემატიანეც მას „ყოველთა მეფეთა შორის უდიდესს“ უწოდებს. თამარ მეფემ, თავისი განსაკუთრებული მოღვაწეობით, უდიდესი სიყვარული მოიპოვა, როგორც თანამედროვეთა შორის, ასვე მას შემდგომ პერიოდშიც დიდ პატივს მიაგებდნენ. ბასილი ეზოსმოძღვარი ყურადღებას ამახვილებს თამარის სარწმუნოებრივ მხარეზე: „ღვთისმოშიში, ტკბილი, სახიერი, ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე“. თამარ მეფეს თავისი სამლოცველო ეკვდერი ჰქონია გელათში, რაც ბუნებრივია, რადგან გელათში იყვნენ დაკრძალულნი მისი წინაპრები: მამა-გიორგი მესამე, ბაბუა-დემეტრე პირველი და დიდი ბაბუა დავით აღმაშენებელი. სწორედ გელათს უკავშირდება ძველი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც თამარი წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა და სამეფო სარტყელზე ძვირფას ღილებს იმაგრებდა. ამ დროს მისთვის მსახურს მოუხსენებია, რომ კართან ერთი უპოვარი ქალი იდგა და მოწყალებას ითხოვდა. მეფეს დალოდება უბრძანებია, მაგრამ როდესაც იგი გამოსულა, მთხოვნელი წასული ყოფილა. ამის გამო თამარ მეფეს მოუხსნია სამეფო სარტყე-

ლი და „ხახულის ღვთისმშობლის“ ხატისთვის შეუწირავს. მას ისეთივე განსაკუთრებული კრძალვა ჰქონია ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისადმი, როგორც დავით აღმაშენებელს.

1187 წლის სიგელით თამარ მეფე ზრუნავს გელათისადმი, იგი მონასტერს „დედა ღვთისას სამკვიდრებელს“ და „დიდ მონასტერს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ — „მეფეთა პაპათა ჩემთაგან სრულქმნილისა, ყოვლითურთ შემკობილსა საყოფელს დედისა ღმრთისასა, სამკვიდრებელს დიდსა მონასტერსა გელათს“. თამარ მეფე, 1195 წლის შამქორის ბრძოლის შემდეგ, კვლავ ზრუნავს გელათში დაბრძანებული ხახულის ხატის შესამკობად. „მივიდა ხახულსაგელათისასა და თავისი და ქალობისა და მეფობისა და დედოფლობის მოკაზმულობა მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტით მიართვა დედათა შინაგან ნაქებს მარიამ ყოვლადწმინდის სახეს და ოქროთი მოჰკაზმა“. შამქორის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, თამარ მეფე, თავისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად, დამარცხებული ბაღდადის ხალიფას დროშას, გელათში აგზავნის, რომელიც „შალვას ახალციხელს ეშოვნა და მისივეს ხელით გაუგზავნეს საყდარსა გელათისასა“.

თავისი მეფობის მეხუთე წელს თამარ მეფე გელათში დამკვიდრებულ 12 მწირ ბერს საზრდოს აძ-

ლევს და მამულებს სწირავს, რათა მათ მირონცხებული მეფის სადღეგრძელოდ და მოსახსენებლად ელოცათ: „დასხდებოდიან ყოვლიდვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზს“. გელათში, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან, ჩამოყალიბდა მკაცრი ბერ-მონაზვნური სკოლა, რომელიც თანდათან უფრო ვითარდებოდა და საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებაში. თამარის პირველი ისტორიკოსი გვაუწყებს, მეფე მარადჟამს ლოცვა-ვედრებას აღასრულებდა და გლახაკებს აძლევდა მოწყალებას, რომ არც გვირგვინმა და სკიპტრამ, არც ძვირფასმა ქვებმა და დიდმა ქონებამ, არც ჯარის სიმრავლემ „არა მიდრიკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან“ თამარ მეფის გონება. პირიქით მან მკაცრ ასკეტურ ღვაწლში გაატარა თავისი ცხოვრება „რამეთუ ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა განსაკვირვებელ აქუნდა“. ღამით წმინდა მეფე ხელსაქმით იყო დაკავებული, ერთ ღამეს, როდესაც ლოცვითა და ხელსაქმით დაღლილ მეფეს ჩასძინებია და ჩვენება უხილავს, სადაც ყოფილა ულამაზესი ბუნება და „ძვირფასი ტახტისადაც დააპირა დაჯდომა, თუმცა მას ეუწყა, რომ ეს ძვირფასი დასაჯდომელი მეფის მოახლისთვის იყო გამზადებული, რადგან მას თორმეტი მღვდლის შესამოსელი დაუმზადებია ხელით

თამარ მეფის ფრესკა ვარძიის მონასტერში. XIII ს.

და შეუწირავს. აღნიშნული ჩვენების შემდეგ, თამარ მეფეს ვაჭრებისგან ალექსანდრიიდან ჩამოტანილი მატყლი შეუძენია და თორმეტი მღვდლისთვის კუ-ართ-ფილონი მოუქსოვია. წმინდა მეფე ასევე თა-ვისი ხელსაქმით დამზადებულ ნივთებს ჰყიდდა და შემოსულ თანხას გლახაკებს ახმარდა.

თამარ მეფის მოღვაწეობის პერიოდში მაჰმადიან-თა ორი კოალიციური არმია იქნა დამარცხებული. 1195 წელს შამქორში ქართველებმა დაამარცხეს აზერბაიჯანის გამგებელი აბუბექრი, რომელსაც ბაღდადის გამგებელი უშუალოდ ეხმარებოდა, ხო-ლო 1203 წელს, ბასიანის ველზე, სასტიკად დაამარ-ცხეს რუმის სულთან რუქნადინის მრავალათასიანი არმია. თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, მეფე ომის დაწყებამდე დიდ ღვაწლში იმყოფებოდა „მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნე-ბითა, ღამისთევითა დაუძინებელად, ყოველთა ღა-მეთა დღე ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა“.

თამარ მეფე გარდაიცვალა, სავარაუდოდ, 1213 წელს, 18 იანვარს, თბილისში, ისნის სასახლეში. თა-მარ მეფეს, რაღაც უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო. გარდაც-ვალების წინ მან დალოცა თავისი სამეფო: „ქრისტე ღმერთო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას... შვილთა ამათ ჩემთა... და მერმე სულსა ჩემსა“. მეფის გარდაცვა-

ლებამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია მთელს სამეფოში. გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფე მცხეთაში გადაასვენეს, სადაც მას მთელმა ერმა სცა თაყვანი, საბოლოოდ კი იგი გელათში დაკრძალეს.

თამარ მეფის დაკრძალვის ადგილი დღემდე ცილობის საგნად გაუხდიათ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს, რადგან მეფის ორივე ისტორიკოსი — 1. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2. ბასილი ეზოსმოძღვარი ცხადად გვაუწყებენ, რომ თამარ მეფე გელათის მონასტერში დაკრძალეს. 3. იმავეს გვეუბნება თამარის ვაჟის ლაშა-გიორგის მემატიანეც.

1. „მიიცვალა მეფე თამარ... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“

2. „თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარს... მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა სამარხოსა“

3. „მეფობასა შინა დაჰყო ოცდასამი წელი... დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“.

სამივე წყარო გარკვევით ამბობს, რომ თამარ მეფე გელათის მონასტერში დაკრძალეს „პაპათა და მამათა მისთა სახელოვანთა“. აღსანიშნავია, რომ შემდგომი პერიოდის ცნობებიც გვაუწყებენ თამარის გელათში დაკრძალვის ფაქტს. 1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა, თამარ მეფის საფლავის დასადგენად,

არქეოლოგიური კვლევა ჩაატარა გელათში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდერში. თუმცა საფლავში თამარ მეფის ნეშტი არ აღმოჩნდა. დღესდღეობით მიჩნეულია, რომ თამარ მეფის წმინდანად შერაცხვის შემდეგ მისი ნაწილები საკურთხეველში გადაასვენეს, ამიტომ ვერ ხერხდება მისი საფლავის დაფიქსირება თანამედროვე პერიოდში.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლიდან, თამარობის დღესასწაულის აღნიშვნა კვლავ აღდგა. ტრადიციულად აღინიშნებოდა 1 მაისს, ახალი სტილით 14 მაისს. 2005 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა კეთილმორწმუნე ქართველთა მეფის ხსენების დღედ კიდევ დააწესა ძველი სტილით 3 იანვარი და ახალი სტილით 13 თებერვალი. ცალკე აღინიშნება თამარ მეფის ხსენება მენელსაცხებლე დედების კვირას. თამარ მეფის შესახებ 1915 წელს თავის ქადაგებაში ლეონიდე ოქროპირიძე (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი) ბრძანებდა: „განა ყოფილა წამი, რომ თამარის სიყვარულს ფართო ალაგი არ სჭეროდეს ქართველი ერის გულში, თამარის ქება, თამარზე მღერა მცირე ხანს მაინც შეწყვეტილიყოს ჩვენს ქვეყანაში? იშვიათად ვინმე მათგანი ჩასწვდომოდეს ერს ისე ღრმად გულში, როგორც თამარი“.

წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის ხსენების დღეა 1 / 14 მაისი.

წმინდა კეთილმსახური მეფე სოლომონ პირველი

წმინდა კეთილმსახური
მეფე სოლომონ პირველი

XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველო ურთულეს პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფებოდა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა (1752-1784 წ.წ.) გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ქვეყანა იხსნა თავისი შეუპოვარი და მიზანმიმართული ქმედებებით. უმძიმესი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, მან ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული იდეოლოგია გაატარა სამი ათეული წლის მანძილზე და უშუალოდ დაუპირისპირდა ოსმალეთის უდიდეს იმპერიას, რომელსაც ამ დროისათვის საქართველოს ერთ მესამედზე მეტი უკვე მიტაცებული ჰქონდა. ოსმალური საფრთხის გარდა, ქვეყანას ანადგურებდა მოღალატე-დიდგვაროვან თავადთა ქმედებები, რადგან მათთვის ტახტზე ძლიერი მეფის არსებობა მიუღებელი იყო. ამასთანავე ისინი ჩართულნი იყვნენ „ტყვეთა სყიდვაში“, რაც განსაკუთრებით აჩანაგებდა დასავლეთ საქართველოს. ამ ურთულეს პერიოდში ტახტზე ადის 17 წლის სოლომონი, რომელსაც, ხელშეწყობის ნაცვლად, დაუპირისპირდნენ საკუთარი ოჯახის წევრებიც კი, მათ შორის ბაბუა ლევან აბაშიძე, დედა თამარ აბაშიძე და ბიძები — მამუკა და გიორგი ბაგრატიონები. მიუხედავად ამდენი

განსაცდელისა ახალგაზრდა მეფემ შეძლო და ყველა ეს წინააღმდეგობა დასძლია და ქვეყანა განადგურებისაგან იხსნა. სოლომონ პირველს წილად ხვდა პატივი თანამედროვეებს „მეორე აღმაშენებელი“ და „ქრისტიანთა ნათელი“ ეწოდებინათ.

სოლომონი ალექსანდრე იმერთა მეფის (1720-1752 წ.წ.) და დედოფალ თამარ აბაშიძის უფროსი ვაჟი იყო. სოლომონ მეფეს ჰყავდა და-ძმები: დავითი, იესე, ბაგრატი, არჩილი, გიორგი, პეტრე და მარიამი. სოლომონის ძმა იესე, შემდგომში იოსები, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი (1769-1776 წ.წ.) გახდა და მეფის აქტიური მხარდამჭერი იყო. გადმოცემით ცნობილია, რომ პატარა სოლომონი სოფელ მამაწმინდაში გაუგზავნიათ აზნაურ მესხთან, მისი უშუალო გამზრდელი კი ვინმე ნაფიჩავაძე ყოფილა. ერთ-ერთი ძველი გადმოცემით ახალგაზრდა უფლისწულს ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დაუწყია ფარული ბრძოლა სამშობლოს გამყიდველთა წინააღმდეგ. როცა მას ჩამოუყალიბებია საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც „წმინდა გიორგის“ რაზმი ეწოდებოდა. სოლომონი გულზე ატარებდა ჯვარს, რომელშიც „ძელი ჭეშმარიტის“ ნაწილი იყო ჩაბრძანებული, სწორედ ამ სიწმინდეზე შეუფიცავთ ერთგულება რაზმის თითოეულ წევრს. დღე არ გავიდოდა, ქვეყნის ორგული არ აეწიოკებინოთ, ვინც თათრების მომხრედ და ერთგულად იყო შენიშნული.

რაზმს სოლომონი ხელმძღვანელობდა. სოლომონმა ჯერ კიდევ ჭაბუკობისას დაისახა მიზნად რომ იმერეთში ტყვეებით ვაჭრობა შეწყვეტილიყო.

1752 წელს გარდაიცვალა სოლომონის მამა ალექსანდრე მეფე, რომელიც გელათში წმინდა ანდრიას სახელობის ეკვდერში დაკრძალეს. ტახტზე ავიდა ჯერ კიდევ ყმაწვილი მეფე სოლომონი, რომელსაც უამრავი განსაცდელი ელოდა. ძლიერი მეფის ტახტზე ასვლა ქვეყნის ორგულთა ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ მეფეს დაუპირისპირდნენ უახლოესი ადამიანები და ტახტიდან ჩამოაგდეს. იმერეთის თავადებმა, რომელთაც სათავეში ედგა მეფის ბაბუა ლევან აბაშიძე, როსტომ რაჭის ერისთავი, კათალიკოსი ბესარიონი და ორი ბიძა მამუკა და გიორგი ბატონიშვილები. რამდენიმე ხნის შემდეგ სოლომონ მეფე ტახტს იბრუნებს და იგი აქტიურ მოქმედებაზე გადადის. მან დასავლეთ საქართველოში აკრძალა ტყვეთა სყიდვა, რითაც ძალიან გაანაწყენა ოსმალეთის იმპერიის სულთანი და ის დიდებულები და მთავრები, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ ჩართულნი. 1768 წელს სოლომონ მეფე რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ათორმეტი წელიწადი არის, რომ სულთნის ჯარსა და ჩვენ ბრძოლა გვაქვს, და შვიდჯერ ჩემს ქვეყანაში შემოვიდნენ ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე მოითხოვეს და რომ არ მივეცი,

ზამთარ-ზაფხულ ძლიერი ომი გვქონდა. ქრისტეს შეწევნით... მტერი ყოველთვის დამარცხებული და შერცხვენილი წავიდა“.

1759 წლის 4 დეკემბერს სოლომონ მეფის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება გაიმართა ქუთაისში. კრების მიზანი იყო ეკლესიის უფლებების აღდგენა და ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ქვეყნის გაძლიერების საქმეში სოლომონს ეკლესია უნდა დახმარებოდა, სწორედ ამ მიზნით მან ქუთაისში, სადაც უკვე მრავალი წელია მღვდელმთავარი აღარ იჯდა, გამართა საეკლესიო კრება. სოლომონ მეფემ თავისი ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დაამტკიცა ტყვეთა სყიდვის აკრძალვა, ხოლო დასავლეთ საქართველოს დიდებულებს ღვთისა და ერის წინაშე პირობა დაადებინა, რომ ისინი ამ საშინელ ცოდვაში აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას. კრებაზე არაერთი მნიშვნელოვანი დადგენილება მიუღიათ: 1. ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიას დაუმტკიცდა. 2. საეკლესიო ყმები განათავისუფლა ზედმეტი გადასახადისაგან და საეკლესიო გადასახადები დააკანონა. 3. ეკლესიის ეკონომიური მეურნეობის საქმეებში ჩარევა ერისკაცებს აუკრძალა. 4. საეკლესიო თანამდებობებიდან უღირსნი გადააყენა და ღირსეულები მოიწვია. 5. შეამკო და ააგო ეკლესია მონასტრები. ტყვეთა სყიდვის აკრძალვით სოლო-

მონ მეფემ განადგურებისაგან იხსნა ქვეყანა, მისმა თავდადებულმა ბრძოლამ არნახული შედეგები გამოიღო. დასავლეთ საქართველოში დაიწყო მოსახლეობის გამრავლება, აღდგა არაერთი ეკლესია-მონასტერი, ძლიერი მონარქის ხელისუფლება ყველამ აშკარად იგრძნო.

სოლომონ მეფემ განსაკუთრებით იზრუნა გელათის მონასტრის აღდგენა-განახლებაზე, რადგან ეკლესია 1759 წლის ლეკების თავდასხმის გამო დაზიანდა. მეფემ „საკუთრითა მონაგარითა, თვისითა დახურა ახლად სრულიად ეკლესია რკინის ყავრულითა“. სოლომონ მეფემ, თავის მეუღლე მარიამ დადიანთან ერთად, გელათის მონასტერი გაათავისუფლა გადასახადისაგან და მრავალი კუთვნილი მამული დაუბრუნა.

1757 წლის 14 დეკემბერს სოფ. ხრესილში (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) სოლომონ მეფემ, მისი მოღვაწეობის განმავლობაში, ყველაზე დიდი ბრძოლა გაუმართა ოსმალო დამპყრობლებს. ოსმალთა დიდი სერასკირები გოლა-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშა და ბაშა–აღა იმერეთის საბოლოოდ გასანადგურებლად მოდიოდნენ. მტერს მხარს უმაგრებდა ასევე იმერეთის ციხეებიდან (ქუთაისი, ბაღდათი, შოროპანი, ცუცხვათი) გამოყვანილი ოსმალთა ჯარის შენაერთები და როსტომ ერისთავისა, ლევან აბაშიძისა და თავად წულუკიძის ჯარი, რომელთა რაოდენობა

სოლომონ პირველის საფლავი
გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში

რამდენიმე ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. ოსმალთა არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ქართველთა ჯარს და იგი 40 ათასი კაცისაგან შედგებოდა.

გამთენიისას ქართველთა ჯარი სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით, რომელიც მარჯვენა ფლანგს მეთაურობდა, მტრის ჯართან საკმაოდ ახლოს მისულან. ქართველთა ბრძოლა ხრესილის ველზე კი საქრისტიანოს გამოსახსნელად წარმოებულ ბრძოლას შეადარა. მეფეს ბრძოლაში დაუმარცხებია ოსმალთა ჯარის სარდალი, რასაც მტრის რიგებში არევ-დარევა გამოუწვევია. უმეთაუროდ დარჩენილმა ოსმალთა ჯარმა ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მათი დიდი ნაწილი განადგურდა. დასავლეთ საქართველოს მეფე–მთავართა სწორმა მოქმედებამ და თავდადებულმა ბრძოლამ უმალ შედეგი გამოიღო. ბრძოლაში განადგურდა მტრის 40 ათასიანი არმია, რომლის მიზანიც სულთნის ბრძანების შესრულება და პატარა იმერეთის სამუდამოდ ოსმალეთის იმპერიაზე დაქვემდებარება იყო.

1770 წლის 13 იანვარს მეფეს ლეკებთან ბრძოლაში გაუმარჯვია.1770 წლის 15 მაისს სოლომონ მეფეს ცუცხვათის ციხე, ხოლო იმავე წლის 19 ივნისს ქუთაისი გაუთავისუფლებია. 9 ივლისს სოლომონ მეფეს საკუთარი ძალებით აუღია შორაპნის ციხე. 1770 წლის 6 აგვისტოს ფერისცვალება დღეს, რუსთა ჯარის დახმარებით, სოლომონ მეფეს ქუთაისის

შიგა ციხე აუღია. 6 აგვისტოს უფლის ფერისცვალების დღეს დამთავრდა ქუთაისის საუკუნოვანი ტყვეობა, ოსმალები სამუდამოდ განიდევნენ ქუთაისიდან. აღსრულდა სოლომონ მეფის სურვილი, მისმა 18 წლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ერთ საბუთში მეფე აღნიშნავდა: „დღე და ღამე მხურვალედ ვმეცადინეობდი ღონითა აღფხვრასა ბილწთა ოსმანთასა“. ახალგაზრდა 35 წლის მეფემ ძველი სატახტო დედაქალაქი გაათავისუფლა უძლიერეს მტერთან ბრძოლაში.

1776 წელს გარდაიცვალა მეფის ძმა, კათალიკოსი იოსები. 1778 წელს მან დაკარგა საყვარელი მეუღლე მარიამ დადიანი, ხოლო 1780 წელს გარდაიცვალა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი. უახლოესი ადამიანების დაკარგვამ და ბოლოს ჩაქვის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე სიკვდილის პირას მიიყვანა. ქართველ ბაგრატიონთა შორის ერთ–ერთი გამორჩეული მეფე, 49 წლის ასაკში, გარდაიცვალა მოულოდნელად. მისი თანამედროვენი გარკვევით აღნიშნავენ, რომ სოლომონ მეფე, ნაჭიშკრევის ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო, დარდს გადაჰყვა. მეფის ქუთაისში გარდაცვალებას ადასტურებს მისი პირადი ექიმი ვიტენბერგი, რომელიც 1784 წლის 25 აპრილს წერილს უგზავნიდა გენერალ პოტიომკინს სადაც აღნიშნავდა: „წმინდა გიორგობის დღესასწაულზე 23 აპრილს, ე.ი. სოლომონ მეფე

მსახურების შემდეგ შუადღის ორ საათზე, ჩაცმის დროს გარდაცვლილა მოულოდნელად. შესაძლებელია ეს გამოწვეული ყოფილიყო ინსულტის შეტევით, როგორც ვიტენბერგი აღნიშნავს „აპოპლექსური დარტყმა“. თუმცა კონკრეტულად რა იყო სიკვდილის მიზეზი რთული სათქმელია.

სოლომონ მეფე დაუკრძალავთ გელათის მთავარ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, რაც მის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს, რადგან გელათის გულანის მინაწერის მიხედვით მთავარ ტაძარში „არაოდეს იმარხე... მეფეთაგანი ვინმე და არცა დამარხუ /ა/ დ არს თვინიერ ამისსა“. ამ ცნობით დასტურდება, რომ სოლომონ მეფე პირველი ქართველი ბაგრატიონი იყო, ვისაც მთავარ ტაძარში დაკრძალვის პატივი ერგო. მეფის საფლავის ქვას შემდეგი წარწერა ამშვენებს: „აქა განისვენებს გუამი იმერეთის მეფისა დიდი სოლომონისა. დაიბადა 1735 წ. და მიიცვალა 23-ს აპრილს 1782 წელსა, ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული მარიამ მეუღლე ქსნის ერისთავის ელიზბარის და დარეჯან მეუღლე თავადის ქაიხოსრო აბაშიძისა“ (გარდაცვალების თარიღში შეცდომაა, უნდა ეწეროს 1784 წელი).

მეფე სოლომონ პირველის წმინდანად კანონიზირება საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მოხდა 2016 წლის 22 დეკემბერს, ხსენების დღეა 23/6 მაისი.

წმინდა მეფე სოლომონ მეორე
სამშობლოსათვის თავდადებული

წმინდა მეფე სოლომონ მეორე სამშობლოსათვის თავდადებული

იმერეთის მეფე დავით არჩილის ძე, იგივე სოლომონ II, უკანასკნელი ქართველი მონარქის სახელით შევიდა ისტორიაში. დავით არჩილის ძე ბიძის, სოლომონ მეფის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული და სახელიც ბიძის საპატივცემულოდ ეწოდა სოლომონი. სოლომონმა ბავშვობა პაპის — ერეკლე მეფის კარზე გაატარა. 1775 წელს მამის, არჩილ ბატონიშვილის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, მეფე ერეკლე II მფარველობდა. მისი დახმარებით 1789 წელს სოლომონმა იმერეთის მეფის ტახტი დაიკავა. 17 წლის სოლომონმა ლეჩხუმში სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის ქალიშვილ მარიამზე იქორწინა და შემდეგ ივლისის თვეში აკურთხეს მეფედ. სოლომონ მეფეს მდინარე რიონის პირას ჰქონდა სამეფო სასახლე ოქროს ჩარდახი, სადაც ხვდებოდა ხალხს. მეფე ხელით შეაყენებდა თურმე მის წინაშე მუხლმოდრეკილ რიგით ადამიანებს და ეუბნებოდა „უხერხულია, არ არის საჭირო, მუხლმოდრეკა საჭიროა მხოლოდ ღვთის წინაშე“. სოლომონი იყო ალერსიანი, მშვიდი, მოწყალე, თავაზიანი, უყვარდა წმინდა წერილი და სასულიერო წიგნების კითხვა. იგი ყოველდღე ესწრებოდა წირვა-ლოცვას კარის ეკლესიაში. სოლომონ მეფეს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის გამორჩეულ საეკლესიო მოღვაწეებთან, მათ

შორის საქვეყნოდ ცნობილ მღვდელმთავარ ანტონ ჭყონდიდელთან (დადიანი), რომელიც 1809 წელს მეფესთან იმყოფებოდა ვარციხეში და მისგან აღსარებებს იბარებდა. უკანასკნელ ბაგრატიონ მეფეს განსაკუთრებით უერთგულა სულიერმა მოძღვარმა იესე დეკანოზმა, ბერობაში ილარიონ ყანჩაველმა. იგი თან წაჰყვა ლტოლვილ მეფეს ოსმალეთში და დიდი პატივი მიაგო.

სოლომონ მეფემ 1804 წლის 25 აპრილს ხელი მოაწერა ელაზნაურის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც იგი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი ხდებოდა. შვილის არყოლის შემთხვევაში მის მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი (დავით გიორგის ძის შვილი) ცხადდებოდა. სოლომონ მეფეს ამ დროიდან ტახტის შენარჩუნებისათვის ბრძოლა უწევდა, რადგან არაერთხელ დაირღვა მისი უფლებები. მეფემ კავშირი დაამყარა ერეკლე მეორის ვაჟთან ალექსანდრე ბატონიშვილთან, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ერთობლივი ძალით გამოსულიყვნენ საბრძოლველად. თავისი მეფობის უკანასკნელი წლები სოლომონმა ვარციხეში გააატარა, როგორც ლტოლვილმა, მას ქუთაისში აღარ დაედგომებოდა, რადგან მეფის რეზიდენციასა და სასახლეში რუსული სამხედრო ნაწილები იდგნენ. საბოლოოდ 1810 წლის თებერვალში სოლომონ მეფე შეიპყრეს და თბილისში გადაიყვანეს, საიდანაც მან მოახერხა გაქცევა და სათავეში ჩაუდგა განმა-

თავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მიზანიც იმერეთიდან რუსული ჯარების გაძევება იყო. აღსანიშნავია, რომ მეფის გაქცევის ხელშეწყობისათვის რამდენიმე უდანაშაულო ქართველი დახვრიტეს. ისინი ავლაბარში დაუკრძალავთ და მათ საფლავზე თანამედროვეებს ზეგარდამო ნათელის სვეტი უხილავთ. უთანასწორო ბრძოლების შემდეგ, სოლომონ მეფე დამარცხდა და იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყო. სოლომონ მეფემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ოსმალეთში, ქალაქ ტრაპიზონში გაატარა. უკანასკნელი ქართველი მეფე ცდილობდა დახმარება ოსმალეთიდან, საფრანგეთიდან ან ირანიდან მიეღო, თუმცა არაფერი გამოვიდა. სიცოცხლის ბოლომდე სოლომონს ჰქონდა იმედი, რომ იგი კვლავ შეძლებდა დაბრუნებას საკუთარ სამშობლოში, მაგრამ ახალგაზრდა მეფე ოსმალეთში ავად გახდა. მეფის დაავადების შესახებ ცნობებს გვაწვდის მისი სულიერი მოძღვარი იესე დეკანოზი. მეფეს მარჯვენა მკერდს ქვემოთ რაღაც წამონაზარდი ჰქონია, რომელიც საბოლოოდ სიმსივნედ გადაქცეულა. სოლომონი ნახევარი წლით ადრე მიმხვდარა თუ რა განსაცდელი ეწვია, ამის გამო სიცოცხლის ბოლო დღეებში განსაკუთრებული მლოცველი და მმარხველი გამხდარა. მამა იესეს სიტყვით, სოლომონ მეფემ საღვთო მადლით წინასწარვე იცოდა ამ ქვეყნიდან წასვლის შესახებ. ამიტომ იგი სასოებას საკუთარ მოძღვარზე ამყარებდა, რადგან იმედი

სოლომონ მეორის საფლავი
გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში

ჰქონდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მამა იესე მას მოიხსენიებდა. 1815 წლის 7 (ახალი სტილით 20) თებერვალს სოლომონ მეფე გარდაიცვალა. მამა იესემ სოლომონის დატოვებული ფულით ასორმოცდაათ მონასტერში მეორედ მოსვლამდე მოსახსენიებელი დაუწესა მეფეს, რომელიც ტრაპიზონის წმინდა გრიგოლ ნოსელის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს დიდი პატივით.

1990 წლის ნოემბერში იმერეთის სახელოვანი მეფე სოლომონ მეორე სამშობლოში ჩამოასვენეს. 24 ნოემბერს, დღის ორ საათზე სოლომონ მეფის ნეშტი გელათის მთავარ ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში დაკრძალეს. მის საფლავის ქვაზე კი კვლავ ფსალმუნის სიტყვები ამოკვეთეს. 175 წლის შემდეგ მრავალტანჯული მეფე დაუბრუნდა თავის სავანეს, რომელსაც მან მიწიერი სამოთხე უწოდა. სამშობლოში დაბრუნდა, როგორც ეროვნული გმირი, საქართველოს არაერთ ქალაქში მადლიერმა ქართველობამ ღირსეული პატივი მიაგო თავდადებულ მეფეს.

სამშობლოსათვის თავდადებული მეფე სოლომონ მეორის წმინდანად კანონიზირება მოხდა 2005 წლის 27 ივნისს. ხსენების დღეა 7 / 20 თებერვალი.

ტრაპიზონიდან მეფე სოლომონ II-ის სამშობლოში გადმოსვენებასა და წმინდანად შერაცხვის საქმეში განსაკუთრებულია ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატეს ღვაწლი.

წმინდა მღვდელმოწამე ექვთიმე გაენათელი

წმინდა მღვდელმოწამე ექვთიმე გაენათელი მიტროპოლიტი

წმინდა მღვდელმთავარი ექვთიმე გაენათელი (შარვაშიძე) 1746 წელს დაბადებულა. იგი გურიის ერისთავის ქრისტეფორეს ვაჟი იყო. ექვთიმე 11 წლის ასაკში იმერეთის მეფე სოლომონ პირველს და იოსებ კათალიკოსს გურიიდან გელათის მონასტერში მოუყვანიათ. მომავალ წმინდანს შემდგომი პერიოდი გელათში გაუტარებია, აქვე უკურთხებიათ მღვდლად, ხოლო 1776 წელს გაენათელ ეპისკოპოსად დაუსხამთ ხელი. მან, იოსებ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, დაიკავა გაენათელის კათედრა. მისი მაკურთხეველი კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე უნდა ყოფილიყო. მიტროპოლიტ ექვთიმეს ორი ძმა — დავითი და როსტომი ჰყოლია, ხოლო მისი ბიძა მაქსიმე ჯუმათელი მიტროპოლიტი იყო. მეუფე ექვთიმე საშუალოზე მაღალი, ნატიფი აღნაგობის კაცი ყოფილა. მას ფართე შუბლი და ძლიერ გამოკვეთილი, არწივისებური ფორმის ცხვირი ჰქონია. გაენათელი მღვდელმთავარი აქტიურად იღვწოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ და ეკლესიის გასაძლიერებლად. მან გააგრძელა იოსებ ბაგრატიონის მიერ დაწყებული გელათის სამეფო მონასტრის აღდგენა-გამშვენიერება.

1787 წელს ექვთიმე გაენათელს საფუძვლიანად განუახლებია გელათის წმინდა ნიკოლოზის სა-

ხელობის ეკლესია, რომელიც ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი ოჯახის საგვარეულო ეკლესია ყოფილა. მღვდელმთავარი იყო საქართველოს გაერთიანების მომხრე, რის გამოც იგი თბილისში იყო ჩასული, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. ექვთიმეს 1791 წელს იოანე კლემაქსის წიგნი შეუწირავს ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრისთვის. წიგნი დაყუდებული ბერის ღირსი გერმანეს სულის საოხად შეუწირავს. 1810 წლის შეწირულობის წიგნით ირკვევა, რომ სოლომონ მეფის ბრძანებით ექვთიმეს მუხაყრუში საკუთარი საფასით სოფელი გაუშენებია, მიწა შეუსყიდია, ხალხი დაუსახლებია და ეკლესიაც აუშენებია.

იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ექვთიმე გაენათელს ბრძოლა უწევს გელათის მონასტრის კუთვნილი მამულებისთვის. 1816 წელს იგი თხოვნით მიმართავს მთავარმართებელ ნ. რტიშჩევს და გელათის მონასტრის კუთვნილ სოფელ კვახჭირის დაბრუნებაში დახმარებას ითხოვს. მღვდელმთავარს ხელთ ჰქონია ძველი საბუთი, რითაც დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ კვახჭირი ძველთაგანვე გელათის სამეფო ტაძარს ეკუთვნოდა. მომდევნო, 1817 წელს გაენათელი მღვდელმთავარი აგრძელებს ზრუნვას გელათისადმი და მონასტერს კუთვნილ ყმებსა და მამულებს უბრუნებს.

1819 წლის ივლისში მიტროპოლიტი ექვთიმე ქუთაისში მწვანეყვავილას ეკლესიაში მოუნახულებია გიორგი ავალიშვილს, რომლის ცნობით მღვდელ-

მთავარი უკვე მოხუცებული სუსტი და ხმელი აღ-
ნაგობის ყოფილა. მოგზაურს მღვდელმთავარმა
ეგზარქოს თეოფილაქტეს ქუთაისში ყოფნის დროს
გამოწვეული მღელვარების შესახებ უამბო. ეკლე-
სია-მონასტრების აღწერამ გამოიწვია ხალხის აღ-
შფოთება, რასაც საბოლოოდ აჯანყება მოჰყვა იმე-
რეთში. 1819 წელს მიტროპოლიტი ექვთიმე აქტი-
ურად ჩაერთო სამშობლოს განმათავისუფლებელ
ბრძოლაში ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოს
წერეთელთან ერთად. მათი კურთხევით ხალხი სამ-
შობლოს დასაცავად იკრიბებოდა, აჯანყებულებს
სამეფო კანდიდატად სოლომონ პირველის შვილიშ-
ვილი ივანე აბაშიძე აურჩევიათ. რუსეთის ხელი-
სუფლებამ გადაწყვიტა აჯანყებულთა მეთაურების,
მათ შორის ქუთათელი და გაენათელი მღვდელმთავ-
რების შეპყრობა. 1820 წლის 4 მარტს მღვდელმთავ-
რები თავიანთ რეზიდენციებში შეიპყრეს, თავზე
ტომრები ჩამოაცვეს და რუსეთის გზას გაუყენეს.
საბოლოოდ ნაწამები მღვდელმთავარი რუსეთის
დედაქალაქ პეტერბურგში ჩაუყვანიათ, სადაც გაე-
ნათელ ექვთიმეს შეხვედრია რუსეთის იმპერატორი
ალექსანდრე I, რომელიც საქართველოს ეკლესიისა
და ერის თავისუფლების წართმევისათვის გაუკი-
ცხავს და მისთვის „ახალი ნერონი“ უწოდებია. ამის
გამო მიტროპოლიტი ექვთიმე ოლონეცკის გუბერნი-
აში — სვირის მონასტერში გადაუსახლებიათ.

გადასახლებაში მეუფე ექვთიმეს 1822 წლის აპ-
რილამდე უცოცხლია. ამ ხნის განმავლობაში მას

ექვთიმე გაენათელის საფლავი
გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში

განსაკუთრებული პატივისცემა მოუპოვებია. 1822 წლის 21 აპრილს მეუფე ექვთიმე გარდაცვლილა. მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დასწრებია. აღსანიშნავია, რომ მისი წესის აგების შემდეგ სასწაული მომხდარა: „მღვდელმთავარი ექვთიმე წამოდგა თავის კუბოში და აკურთხა მარჯვენითა ხელითა მუნ მყოფნი ხალხი სრულიად და შემდგომ მიიძინა უფლისა მიმართ მშვიდობით“. ამ საწაულის მომსწრე მრავალი ადამიანი ყოფილა, მის საფლავზე მისული მლოცველები კი კურნებებს იღებდნენ.

2005 წლის 29 მარტს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის კურთხევით მიტროპოლიტ ექვთიმეს ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და 9 აპრილს გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, კანკელის მარჯვენა მხარეს დაკრძალეს. მის საფლავის ქვას შემდეგი წარწერა ამშვენებს: „ამა ლოდსა ქუეშე განისვენებს გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე შარვაშიძე სიყრმითგან ვიდრე სიბერემდე სიწმინდის მოყვარე, სამთა მეფეთა მსახურებელი, ეკლესიათა კეთილად შემამკობელი, მარხულობასა შინაცა ქებული. აღესრულა წმ. ალექსანდრე სვირელის მონასტერში რუსეთში 1822 წლის 21 აპრილს, შობიდან 76 წლისა. გადმოსვენებულ იქნა 2005 წლის 27 მარტს“.

მიტროპოლიტ ექვთიმე გაენათელის წმინდანად კანონიზირება მოხდა 2005 წლის 27 ივნისს. ხსენების დღეა 21 / 4 მაისი.

წმინდა გაბრიელი — იმერეთის ეპისკოპოსი

წმინდა გაბრიელი
იმერეთის ეპისკოპოსი

გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე) დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს სოფ. ბახვში (ოზურგეთის მაზრა) გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვრის — მღვდელ მაქსიმე ქიქოძის ოჯახში. 1839 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც 1841 წელს ფსკოვის სასულიერო სემინარიაში გადავიდა. აქედან კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1845 წელს დაამთავრა. 1849 წელს დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. პეტერბურგში მყოფი გერასიმე ქიქოძე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა და მარიამ დედოფლის ვაჟიშვილს, მიხეილ ბატონიშვილს დაუახლოვდა. ამ ურთიერთობამ მის მსოფლმხედველობასა და განათლებაზე დიდი გავლენა იქონია.

1849 წელს გერასიმე პეტერბურგში დაქორწინდა მარია ნიკოლოზის ასულ ვლადიკინზე. იმავე წლის ნოემბერში დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, ამ მოვალეობის შესრულებას 1850 წლის თებერვლიდან შეუდგა.

გაბრიელი — იმერეთის ეპისკოპოსი

1854 წლის 7 ნოემბერს, თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად, ხოლო 8 ნოემბერს მღვდლად აკურთხეს. ამასთანავე გერასიმე თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლად.

1856 წლის 29 სექტემბერს, ოჯახური ტრაგედიის გამო (მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი), ბერად აღიკვეცა და ეწოდა სახელი — გაბრიელი. 1858 წლის 5 იანვარს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა დავითგარეჯის წინამძღვრად. იმავე წლის 6 დეკემბერს გაბრიელი გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსის ქორეპისკოპოსად დაინიშნა. ამასთანავე იგი ქართლ-კახეთის უწმინდესი სინოდის წევრი და შუამთის მონასტრის არქიმანდრიტია. 1860 წელს გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად დაინიშნა და ამ მოვალეობას ასრულებდა გარდაცვალებამდე. სხვადასხვა პერიოდში მართავდა აფხაზეთისა (1869-1886 წ.წ.) და სამეგრელოს (1871-1885 წ.წ.) ეპარქიებს (სამეგრელოში ლეჩხუმ-სვანეთიც შედიოდა).

გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წლის 26 იანვარს, 71 წლის ასაკში. დიდთოვლობისა და უგზოობის გამო ქართველი ერი მას 46 დღე ემშვიდობებოდა. 1896 წლის 10 მარტს, მისი ნეშტი გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში დაკრძალეს.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის საფლავი
გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში

მეუფე გაბრიელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და საპატიო წევრი. საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სახალხო და სამრევლო სკოლა. მისი ინიციატივით 1890 წელს ქუთაისში დაარსდა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი, 1894 წელს კი სასულიერო სემინარია. დიდია მისი დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-გადარჩენის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით, 1884 წლიდან, ქუთაისში „ქართულ-იმერული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“ არსებობდა.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა შექმნა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია, 1858 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (რუს. «Основания опытной психологии»), რომელიც სემინარიებში დიდხანს სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. ნიკოლოზ დობროლიუბოვმა სპეციალური რეცენზიაც გამოაქვეყნა ამ წიგნზე ჟურნალ „სოვრემენნიკ“-ში (1859 წ.). ფართოდაა ცნობილი გაბრიელის ზეპირად წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი, რომელთა ორტომეული გამოცემულ იქნა ქართულ (1865, 1884-1885, 1913, 1989 წ.წ.), რუსულ (1893 წ.) და ინგლისურ (1867 წ.) ენებზე. მნიშვნელოვანია მის მიერ ჩატარებული

ეპარქიის მიმოხილვების ანგარიშები, სადაც დეტალურადაა განხილული თითოეული საკითხი.

მეუფე გაბრიელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, წინ აღუდგა იანოვსკი-ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებას, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრულად განდევნა სკოლებიდან. 1872 წელს მან გაილაშქრა სენატორ გიორგი მუხრანბატონის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციისა და მცირე ენების გაქრობის გარდაუვალობას.

გაბრიელ ეპისკოპოსის დროს იმერეთის ეპარქიაში დიდი საეკლესიო მშენებლობა გაიშალა. აიგო 300-ზე მეტი ახალი ეკლესია, აღადგინა მრავალი დანგრეული ტაძარი და მონასტერი, ზრუნავდა ქრისტიანობის განმტკიცებაზე, გააქრისტიანა 18 000 აფხაზი, რითაც ისინი ფაქტობრივად იხსნა მუჰაჯირობისაგან.

ეპისკოპოსი გაბრიელი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო წმინდა ანას I, წმ. ვლადიმერის II და III, და წმ. ნეველის ორდენებით.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა 1995 წელს წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 25/7 თებერვალი.

სარჩევი

წინათქმა 3

წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელი..... 13

წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი 15

ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დიმიტრი 23

წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი..... 27

წმინდა კეთილმსახური მეფე სოლომონ პირველი 35

წმინდა მეფე სოლომონ მეორე
სამშობლოსათვის თავდადებული..... 45

წმინდა მღვდელმოწამე
ექვთიმე გაენათელი მიტროპოლიტი 51

წმინდა გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსი..... 57

წმინდა მღვდელმთავარ გიორგი ჭყონდიდელის, წმინდა კეთილმსახურ მეფე სოლომონ პირველის, წმინდა მეფე სოლომონ მეორე სამშობლოსათვის თავდადებულის და წმინდა მღვდელ-მოწამე ექვთიმე გაენათელის ხატების ავტორია ხატმწერი **რობიზონ (დამიანე) რევიშვილი.**

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე

კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 31.07.2018;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.08.2018;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4;
ტირაჟი 2000, შეკვეთა №201

ფასი — სახელშეკრულებო

ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.